



# ტექნიკური დავალება (ToR)

## მთარგმნელობითი მომსახურება: „მსს ფასს სტანდარტის“ სატრენინგო მასალების თარგმნა

### 1 კონტექსტი

რეგიონებში მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების პროექტი (RSMEDP) არის შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) მიერ დაფინანსებული ინიციატივა, რომლის ერთ-ერთ მთავარ მიზანს რეგიონებში მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მხარდაჭერა წარმოადგენს. პროექტს ახორციელებს Swisscontact-ის (წამყვანი), Mercy Corps-ისა და Springfield Center-ის კონსორციუმი.

ამ მიზნის მიღწევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა ქვეყანაში საერთაშორისო ფინანსური სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობა, რასაც საქართველოში ზედამხედველობას უწევს **ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური (SARAS)**. SARAS-ის როლია უზრუნველყოს ფინანსური ანგარიშგების გამჭვირვალობა და სანდოობა, რაც თავის მხრივ ეხმარება მცირე და საშუალო საწარმოებს ფინანსური მდგომარეობის ზუსტ შეფასებაში, სწორი ბიზნეს-გადაწყვეტილებების მიღებასა და ინვესტიციებისა თუ საბანკო დაფინანსების მოზიდვაში.

ვინაიდან აღნიშნულ საერთაშორისო სტანდარტში შედის მნიშვნელოვანი ცვლილებები და ახლდება რეგულაციები, აუცილებელია ბაზარზე არსებული სატრენინგო მასალების ამ ცვლილებებთან შესაბამისობაში მოყვანა. სწორედ ამ მიზნით, RSMEDP გეგმავს განახლებული სპეციალიზებული სატრენინგო მასალების თარგმნას, რომლებიც ეხება **„მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტს“ (მსს ფასს სტანდარტი / IFRS for SMEs Standard)**. პროექტი ეძებს კვალიფიციურ და გამოცდილ თარგმანს, თარგმანთა ჯგუფს ან მთარგმნელობით კომპანიას აღნიშნული მასალების ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე მაღალპროფესიონალურ დონეზე სათარგმნად.

### 2 დავალება

#### 2.1 მიმოხილვა და მიზანი

სატრენინგო მასალების თარგმნის მიზანია „მსს ფასს სტანდარტის“ (IFRS for SMEs) **უახლესი განახლებებისა და ცვლილებების** ადაპტირება და ხელმისაწვდომობა ქართულენოვანი აუდიტორიისთვის, ტრენერებისა და მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებისთვის. მასალები მოიცავს სპეციფიკურ, ახალ ფინანსურ, საბუღალტრო და ეკონომიკურ ტერმინოლოგიას, რაც მოითხოვს თარგმანის უკიდურეს სიზუსტეს და შესაბამისობას საქართველოში მიღებულ ოფიციალურ ფინანსურ ლექსიკონთან (SARAS-ის მიმდინარე სტანდარტების მიხედვით).



## 2.2 სამუშაოს მოცულობა და მოვალეობები

სათარგმნი მასალების სავარაუდო ჯამური მოცულობა შეადგენს **1200–1300 სტანდარტულ გვერდს** (პრეზენტაციები, გზამკვლევები, ქეისები, დამხმარე მეთოდოლოგიური მასალები და სავარჯიშოები).

კონტრაქტორმა უნდა უზრუნველყოს:

- დასახელებული მასალების სრული და კვალიფიციური თარგმნა **ინგლისურიდან ქართულ ენაზე**.
- ფინანსური და საბუღალტრო ტერმინოლოგიის ზუსტი გამოყენება, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის (SARAS) მიერ აღიარებული ოფიციალური თარგმანებისა და ტერმინოლოგიის შესაბამისად.
- ნათარგმნი ტექსტის სტილისტური და გრამატიკული გამართვა, მასალების პირვანდელი ფორმატისა და სტრუქტურის (მაგ. PowerPoint, Word, Excel) სრული შენარჩუნებით.
- სამუშაოს მოცულობიდან გამომდინარე, ხარისხის შიდა კონტროლისა და ტერმინოლოგიური ერთგვაროვნების უზრუნველყოფა მთელ ტექსტში.
- საჭიროების შემთხვევაში, ტერმინოლოგიური დაზუსტება პროექტის ტექნიკურ გუნდთან\* კოორდინაციით.

\*პროექტის ტექნიკური გუნდი წინასწარ არის განსაზღვრული და შედგება სარასის თანამშრომლებისგან.

## 3 მისაღწევი შედეგები და ვადები

### 3.1 დავლება და შედეგები

სამუშაოს მოცულობიდან გამომდინარე ნათარგმნი დოკუმენტის ჩაბარება და ანაზღაურება განხორციელდება ეტაპობრივად, წინასწარ შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით. კონტრაქტორმა უნდა ჩააბაროს:

1. **შეთანხმებული ძირითადი ტერმინოლოგიური გლოსარიუმი** (სამუშაოს საწყის ეტაპზე, ერთგვაროვნების უზრუნველსაყოფად და ახალი ტერმინების შესათანხმებლად).
2. **ნათარგმნი მასალების შუალედური პაკეტები** (მაგ. ყოველთვიურად ან მოდულების მიხედვით ჩაბარებული გვერდები, წინასწარ გაწერილი გრაფიკის შესაბამისად).
3. **სატრენინგო მასალების სრული, საბოლოოდ რედაქტირებული ქართული ვერსია** (საბოლოო ჯამში 1200-1300 გვერდი, რომელიც მოიცავს განახლებულ პრეზენტაციებს, ქეისებსა და სავარჯიშოებს).

შენიშვნა: სამუშაოს შესრულების საბოლოო ვადა და შუალედური ეტაპები დაზუსტდება კონტრაქტორთან ხელშეკრულების გაფორმებისას.



## 4 შერჩევის კრიტერიუმები და კომპეტენციები

### 4.1 ვის შეუძლია მონაწილეობა

კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ ფიზიკურ პირებს (ინდივიდუალური თარჯიმნები), თარჯიმანთა ჯგუფებს ან იურიდიულ პირებს (მთარგმნელობითი ბიუროები), რომლებიც აკმაყოფილებენ სატენდერო მოთხოვნებს. მონაწილე ვალდებულია წარმოადგინოს მოთხოვნილი დოკუმენტაცია სრულად და დადგენილ ვადებში.

### 5.2 შერჩევის კრიტერიუმები

აპლიკანტი ჩაითვლება შეუთავსებლად და წინადადება არ განიხილება, თუ:

- აპლიკანტი ნასამართლევი უკანონო ან კორუფციულ საქმიანობასთან დაკავშირებულ დარღვევებზე, ან გამოვლენილია არაპროფესიული ქცევის ფაქტები;
- აპლიკანტებს არ აქვს შესრულებული საგადასახადო ვალდებულებები;
- აპლიკანტი შეყვანილია რომელიმე სანქცირებულ პირთა სიაში.

### 5.3 საკვალიფიკაციო მოთხოვნები

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- **განათლება:** ბაკალავრის ან მაგისტრის ხარისხი ფილოლოგიაში, ლინგვისტიკაში, თარგმანმცოდნეობაში, ფინანსებში, ბუღალტერიაში ან მომიჯნავე სფეროში.
- **გამოცდილება:** მინიმუმ 3–5 წლიანი პროფესიული გამოცდილება ინგლისურ-ქართულ მთარგმნელობით სფეროში. დიდი მოცულობის პროექტების მართვის გამოცდილება ჩაითვლება უპირატესობად.
- **სპეციფიური კომპეტენცია:** ფინანსური, ეკონომიკური ან საბუღალტრო ტექსტების (განსაკუთრებით IFRS / ფასს სტანდარტების) თარგმნის დადასტურებული და წარმატებული გამოცდილება (სავალდებულოა).
- **ენობრივი ცოდნა:** ინგლისური და ქართული ენების სრულყოფილი, პროფესიული ფლობა (საბუღალტრო, ფინანსური ტერმინოლოგიის ნუანსებისა და უახლესი ცვლილებების სიღრმისეული ცოდნა).

## 6 წარსადგენი დოკუმენტები

დაინტერესებულმა კანდიდატებმა უნდა წარმოადგინონ:

- **პროფესიული რეზიუმე (CV) / კომპანიის ან ჯგუფის შემთხვევაში – პორტფოლიო და ძირითადი თარჯიმნების რეზიუმეები,** სადაც მკაფიოდ იქნება ნაჩვენები ფინანსური ტექსტების თარგმნის გამოცდილება.
- **საფასო წინადადება -** გთხოვთ, მიუთითოთ ანაზღაურების ტარიფი 1 სტანდარტულ გვერდზე (1800 სიმბოლო Space-ით) ან 1 სიტყვაზე (დღგ-ის გარეშე).
- **სამუშაო გეგმა/გრაფიკი -** ხედვა, თუ რა ვადაშია შესაძლებელი აღნიშნული მოცულობის (1200-1300 გვერდი) ხარისხიანად ჩაბარება ეტაპობრივი პრინციპით.

(ToR) მთარგმნელობითი მომსახურება: „მსს ფასს სტანდარტის“ სატრენინგო მასალების თარგმნა



- **მსგავსი ფინანსური მასალის თარგმნის ნიმუში** (საუკეთესო შემთხვევაში, IFRS სტანდარტებთან ან ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული ნამუშევარი).

გთხოვთ, რეზიუმე გამოგვიგზავნოთ არაუგვიანეს 2026 წლის **10 ივნისის** 17:00 საათამდე, შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: [info.georgia@swisscontact.org](mailto:info.georgia@swisscontact.org) სათაურით: **მთარგმნელობითი მომსახურება**